

ლარისა თირქია

ბიოლოგიის დოქტორი, ზსუ ასოცირებული პროფესორი

ORCID 0000-0001-5150-0476

ზოგიერთი საკვებად და სამკურნალო
თვალსაზრისით გამოყენებული
დადიანისეული მცენარეუბგდის ბოტანიკურ ბალში

აბსტრაქტი

ნაშრომი ეხება, ზუგდიდის ბოტანიკურ ბალში ზოგიერთ საკვებად და სამკურნალო თვალსაზრისით გამოყენებულ ისეთ დადიანისეულ მცენარეებს როგორცაა: 1. ბროწეული-*Punica granatum*, 2 კაკალი, ნიგვზის ხე-*Juglans regia*. 3. კანფეტის ხე-ჰოვენია-*Hovenia Thunb* 4. ჩვეულებრივი წაბლი-*Castanea sativa mill*. 5. წყავი-*Laurocesus*. ჩამოთვლილი მცენარეები კარგად ეგუებიან ზუგდიდის ბოტანიკური ბალის ნიადაგურ-კლიმატურ-პირობებს, რომელიც სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის მიერ გაშენებულ იქნა 1840 წელს, თავისი მეუღლის ეკატერინე ჭავჭავაძის პატივსაცემად. თავდაპირველად ბალს მთავარი უვლიდა. შემდეგ კი ეს საქმე ეკატერინეს მიანდო, დედოფალი ბალის მოვლამ ძალიან გაიტაცა. ჯერ იყო და იტალიელი მებაღე ჩამოიყვანა, მერე კი ევროპიდან ლამის ყველა ეგზოტიკური მცენარე ჩამოატანინა-რამდენიმე ეგზემპლარი საფრანგეთის მეფის, ლუი ფილიპეს ვერსალის ბაღიდანაც კი.

ნაშრომში მოყვანილია დადიანისეული, როგორც „წითელ წიგნში“, ასევე „გლობალურ წითელ წიგნში“ შეტანილი მცენარეები, რომელიც გამოიყენება საკვებად და სამკურნალო თვალსაზრისით. აღწერილია მათი გავრცელების არეალი, ბიო-მორფოლოგიური თავისებურებები, ქიმიური შედგენილობა და მათი გამოყენება ტრადიციულ მედიცინაში სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ.

საკვანძო სიტყვები: დადიანისეული ბალი, საკვები მცენარე, სამკურნალო, მცენარე.

Larisa Tirkia

Doctor of Biology, Associate Professor at ZSU

SOME PLANTS OF THE DADIANI WITH EDIBLE AND MEDICINAL USES IN THE ZUGDIDI BOTANICAL GARDEN

ABSTRACT

*The paper covers the following several plants with edible and medicinal uses in the Zugdidi Botanical Garden: 1. Pomegranate-*Punica granatum* 2. Walnut tree- *Juglans regia* 3. Candy tree *Hovenia-Hovenia Thunb.* 4. Ordinary chestnut- *Castanea sativa mil.* 5. Laurel- *Laurocesus*. The aforementioned plants grow well in the soil and climate conditions of the Zugdidi Botanical Garden. The later was constructed in 1840 by the last ruler of Samegrelo, Davit Dadiani in honor of his wife, Ekaterine Chavchavadze.*

From the outset the aforementioned Ruler looked after the Garden and later, he entrusted his wife Ekaterine with the Garden. The Queen took a high interest in the Garden. First, she brought in an Italian gardener and later, tasked him to bring almost every exotic plant from Europe. The later included a few variety of plants from the French King Louis-Philippe's Gardens of Versailles.

The paper covers those plants of the Dadiani with edible and medicinal uses which are included in the Red Data Book as well as in the Global Red List. The paper provides description of dissemination area of these plants, their bio-morphological characteristics, chemical constituents and utilization in medicine with the purpose of treating various diseases.

Key Words: *The Dadiani, food, medicinal, plant.*

ზუგდიდში, დადიანების ბაღში, მაის-ივნისში ჩვეულებრივი ნაბლი და წყავი ყვავილობს, ივნისში კანფეტის ხე, აპრილ-მაისში ნივგზის ხე, მარტიდან-ივნისამდე გუიავა, მაის-აგვისტოში ბრონეული – სწორედ ასე სურდა სამეგრელოს უკანასკნელ მთავარს, დავით დადიანს, რომელმაც ბაღი 1840 წელს გააშენა მეუღლის, ეკატერინე ჭავჭავაძის პატივსაცემად. თავდაპირველად ბაღს მთავარი უვლიდა. შემდეგ კი ეს საქმე ეკატერინეს მიანდო, დედოფალი ბაღის მოვლამ ძალიან გაიტაცა. ჯერ იყო და იტალიელი მებაღე ჩამოიყვანა, მერე კი ევროპიდან ლამის ყველა ეგზოტიკური მცენარე ჩამოატანინა-რამდენიმე ეგზემპლარი საფრანგეთის მეფის, ლუი ფილიპეს ვერსალის ბაღიდანაც კი.

ამჟამად, ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში იზრდება, როგორც „წითელ წიგნში,“ ასევე „გლობალურ წითელ წუსხაში“ შეტანილი მცენარეები, ბევრი მათგანი გამოიყენება საკვებად და სამკურნალო თვალსაზრისით.

1. ბრონეული – Punica granatum -ფოთოლმცვენი ბუჩქი ან პატარა ზომის ხეა, რომელიც მიეკუთვნება ბრონეულისებრთა – **Punicaceae** ოჯახს. სამშობლო სამხრეთ დასავლეთი აზია, ხმელთაშუა ზღვის რეგიონი. მცენარე სიმაღლით აღწევს 5-8 მეტრამდე. აქვს დატოტილი, ზოგჯერ ეკლიანი ღერო, ახალგაზრდა ტოტები ოთხნახნაგოვანია, ქერქი მოწითალო-ყავისფერი. ფოთლები ერთმანეთის მოპირისპირედ, ზოგჯერ მორიგეობით განლაგებული, ელიფსური ან ლანცეტისებრი, პრიალა, მუქი მწვანე 3-7 სმ სიგრძის, ყვავილები მკვეთრი წითელი, იშვიათად თეთრი ან ვარდისფერი 3-5 სმ-მდე დიამეტრის, ერთეული ან მცირე ჯგუფებად განლაგებული 5-7 გვირგვინის ფურცლით. ახასიათებს მრავალი მტვრიანა. ნაყოფი სფერული 5-12 სმ დიამეტრის, სქელი ტყავისებური კანით (წითელი, მოყავისფრო) შეიცავს მრავალ წითელ მსუქან წვნიან თესლს. თითოეული თესლი გარშემორტყმულია გამჭვირვალე წვნიანი გარსით (არილი). ყვავილობს გაზაფხულზე. ნაყოფი მწიფდება შემოდგომაზე. მრავლდება თესლით და კალმით.

ბრონეული მდიდარია ანტიოქსიდანტებით, განსაკუთრებით პოლიფენოლებით. გააჩნია ანთების საწინააღმდეგო თვისებები, გამოიყენება გულ-სისხლძარღვთა სისტემის გასაუმჯობესებლად, არტერიული წნევის რეგულირებისათვის. კუჭ-ნაწლავის სისტემის მოსაგვარებლად, იმუნური სისტემის გასაძლიერებლად. გააჩნია ანტიმიკრობული მოქმედება.

ბრონეულის საკვებად და სამკურნალოდ გამოიყენება არის ძალიან მრავალფეროვანი. ის არის უძველესი ხილი, რომელსაც აქვს მდიდარი ისტორია, როგორც საკვებში ასევე ტრადიციულ მედიცინაში ბრონეულის მარცვლები იჭმევა, მისგან მზადდება წვენი. (გრენადინის სიროფი) მას უმატებენ სალათებში, იყენებენ კერძების გარნირად, ასევე გამოიყენება დესერტებსა და ტკბილეულში დასამატებლად.

2. კაკალი, ნიგვზის ხე – Juglans regia – კაკლისებრთა ოჯახის წარმომადგენელია. ფოთოლმცვენი ხეა მისი სიმაღლე 20-30 მეტრამდე აღწევს, დიამეტრი 1,5მ. ყვავილობს ფოთლის გაშლასთან ერთად. ნაყოფი მწიფდება აგვისტო-სექტემბერში. ნაყოფმსხმოიარეა 12 წლიდან 200 წლამდე.

კაკლის გული შეიცავს ცხიმებს (45-77%), ცილებს (8-21), B1 ვიტამინსა და A პროვიტამინს. მოუმწიფებელი ნაყოფი მდიდარია C ვიტამინით, მისგან მურაბას ამზადებენ. მწიფე კაკლის გულისაგან-ნიგვზისაგან-ხდიან ზეთს და ხმარობენ საკონდიტრო წარმოებაში, წენგოსაგან ამზადებენ ყავისფერ საღებავს. ფოთლები და წენგო იხმარება მედიცინაში.კაკალი კარგი საჩრდილობელი ხეა.

3. კანფეტის ხე – ჰოვენია – Hovenia Thunb – ხეჭრელისებრთა **Rhamnaceae** ოჯახის წარმომადგენელია. სამშობლო ჩრდილოეთ და ცენტრალური ჩინეთი, ჰიმალაი, სამხრეთ იაპონია. 15-20 მ-მდე სიმაღლისა და 40-50 სმ-მდე დიამეტრის სწორ-

ტანოვანი ფოთოლმცვენი ხეა, ფართო მომრგვალებული სქელი ვარჯით. ყვავილობს მომწვანო-თეთრი, წვრილი, სურნელოვანი ყვავილებით მაის- ივნისში. ნაყოფი მწიფდება აგვისტო-სექტემბერში. დამწიფებისას ნაყოფის ხორციანი ყუნწი არომატული, ტკბილი და გემრიელია. შეიცავს 35% შაქარს. ნაყოფს მომწავო ქიშმიშის გემო აქვს, რის გამოც იაპონურ ქიშმიშის ხესაც უწოდებენ. მისგან მზადდება სხვადასხვანაირი დესერტი თუ საკვები პროდუქტი.

შეიცავს დიჰიდრომირცეტინს (DHM), ანტიოქსიდანტს, ფლავონოიდებს და სხვა ნაერთებს, რომლებიც იცავს უჯრედის დაზიანებისაგან.

გამოიყენება ალკოჰოლის უარყოფითი ეფექტის შესამცირებლად, ღვიძლის დაავადებების სამკურნალოდ, კუჭ-ნაწლავის პრობლემების, ანთების საწინააღმდეგო და საჭმლის მონელების გასაუმჯობესებლად. ზოგიერთი კვლევა მიუთითებს, რომ შეიძლება დაეხმაროს სისხლში შაქრის დონის კონტროლს.

გამოიყენება ძირითადად ჩაის ან საკვები დანამატის სახით.

4. ჩვეულებრივი ნაბლი – *Castanea sativa mill.* ნიფლისებრთა-Fagaceae ოჯახის წარმომადგენელია. გავრცელებულია ჩრდილო ნახევარსფეროს ზომიერ რეგიონებში-ევროპაში აზიაში და ჩრდილოეთ ამერიკაში. საქართველოში გვხვდება ჩვეულებრივი ანუ ევროპული ნაბლი. მცენარე სიმაღლით აღწევს 20-35 მეტრამდე

ფოთლები მორიგეობით განლაგებული გრძელყუნწიანი ლანცეტისებრი, კიდეებზე ხერხკბილა, სიგრძით 8-28 სმ, წვერში წაწვეტებული, ფუძესთან შევიწროებულია. ფოთლები ქვემოდან დაფარულია სქელი ბუსუსით, ზემოდან კი შიშველი. ყვავილები ცალსქესიანი. მამრობითი ყვავილები გრძელ ვერტიკალურ ყვავილედებაა განლაგებული ყავილობს მაის-ივნისში. ნაყოფი მწიფდება სექტემბერ-ოქტომბერში. ნაყოფი ერთთესლიანი კაკალია. 1-3 ცალი კაკალი მოთავსებულია გარედან სადგისისებრი ეკლებით დაფარულ ბუდეში.

ნაყოფი გამოიყენება საკვებად. სხვადასხვა სახის კერძებში მათ შორის წვნიანებში. პოპულარულია ნაბლის დესერტები და სპრედები.

ნაბლი მდიდარია ანტიოქსიდანტებით, შეიცავს ბევრ ვიტამინს და მინერალს (C ვიტამინი, B ჯგუფის ვიტამინები) აქვს ანთების საწინააღმდეგო თვისებები. ხასიათდება დაბალი ცხიმის შემცველობით, შეიცავს სრულ ნახშირწყლებს, რაც ხელს უწყობს ენერჯის სტაბილურ გამოთავისუფლებას.

მის ფოთლებსა და ქერქს ხალხურ მედიცინაში იყენებენ განსაკუთრებით, ხველის, სასუნთქი გზების პრობლემებისა და ზოგიერთი კანის დაავადებების სამკურნალოდ.

5. წყავი – *Laurocesus* – მარადმწვანე ბუჩქი ან პატარა ზომის ხეა. ვარდისებრთა (Rosaceae) – ოჯახიდან. ბუნებრივად გავრცელებულია კავკასიაში, მცირე აზიასა და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ტყის ქვედა და შუა სარტყელში, ძირითადად დასავლეთ საქართველოში.

იზრდება 5-10 მეტრამდე სიმაღლის მცენარედ. ფოთლები პრიალა, მუქი მწვანე

ტყავისებრი, ელიფსური ფორმის 5-15 სმ-მდე სიგრძის, კიდეებზე წვრილი დაკბილვით, და მორიგეობით განლაგებული ფოთლებით. ყვავილები თეთრი, სურნელოვანი, შეკრებილი 5-15 სმ სიგრძის მტევნისებრ ყვავილედებად, ყვავილობს გაზაფხულზე. ნაყოფი მცირე ზომის კურკიანი მომრგვალო-ოვალური ფორმის, მომწიფებისას შავი ფერის, 1-2 სმ დიამეტრის.

მცენარის ყველა ნაწილი განსაკუთრებით ფოთლები და თესლები შეიცავს ციანოგენურ გლიკოზიდებს, რაც მათ მომწამვლელ თვისებებს ანიჭებს.

წყავის ნაყოფი გამოიყენება საკვებად. მისგან ამზადებენ მურაბებს და ჯემებს. იყენებენ სასმელების დასამზადებლად (ნაყენები ჩაი) მის ფოთლებს ხშირად იყენებენ საკონდიტრო ნაწარმის არომატიზაციისთვის.

წყავს გააჩნია მრავალი სასარგებლო თვისება, ანტიოქსიდანტური მოქმედება, ანთების საწინააღმდეგო ეფექტი, ხველის საწინააღმდეგო თვისებები, სისხლში შაქრის დონის დარეგულირების შესაძლებლობა, საჭმლის მომნელებელი სისტემის მუშაობის გაუმჯობესება.

აღსანიშნავია, რომ წყავის კურკები და ფოთლები შეიცავენ ციანოგენურ გლიკოზიდებს, რომლებიც დიდი რაოდენობით მიღებისას ორგანიზმში შეიძლება ტოქსიკური იყოს. ამიტომ მცენარის გამოყენებისას სიფრთხილეა საჭირო, უმჯობესია ექიმთან კონსულტაცია.

ჩვენი დაკვირვებიდან გამომდინარე, ეს მცენარეები ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში თვლიან 80-90 წელს, რომლებიც დღესაც საუცხოოდ გამოიყურებიან, შესანიშნავად ეგუებიან ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს და დიდი გამოყენება აქვთ საკვებად და სამკურნალო თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბალანჩივაძე, შ., ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის მერქნიანი ხეები და ბუჩქები. თბ., 1975.

კუჭუხიძე, ჯ., ჯონაძე, მ., ბოტანიკა თბ., 2012.

მაყაშვილი, ა., ბოტანიკური ლექსიკონი. თბ., 1991.